# თეატრი და ცხოვრება

სათეატრო სალიტერ. ჟურნალი

1917 № 37

კვირა, ენკენისთვის 24

წლიწადი მეხუთე გამ
ცემისა ფასი 25 კაპ



**კ ი რ ი ო ნ ი**

კათალიკოს-პატრიარქი სრულიად საქართველოისა, არჩეული ენკენისთვის 17 თბილისში, სიონის ტაძარში.

**კურთხეულ იქმნება ღვინობისთვის 1 მცხეთის ტაძარში**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ენქენისთვის 24.

**ერის გამთელება** ჩვენმა სამშობლომ გასულ კვირებში ორი დიდი ისტორიული ნაბიჯი გადადგა.

პირველი—შესდგა ქართულ პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლების კავშირი, ეგრედ წოდებული საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული კავშირი. ეს ,,კავშირი მიზნად ისახავს რევოლიუციის დაცვას და ქართველ ხალხის პოლიტიკურ-ეკონომიურ, კულტურულ-საზოგადოებრივ და საერთაშორისო საჭიროებათა დაკმაყოფილებასა და გაძღოლას."

საბჭომ შეადგინა აღმასრულებელი კომიტეტი და მოქმედებას შეუდგა კიდეც.

აღსრულდა ჩვენი დიდის ხნის ნანატრი ოცნება.

წოდებრივად და პარტიულად დაქსაქსული ქართველი დემოკრატია დღეის ამას შემდეგ საგარეო თუ საშინაო საქმეებში ერთად გამოვა და შეთანხმებით იმოქმედებს, რაიცა ასე საჭიროა ქვეყნის ასაღორძინებლად.

ეროვნულ საბჭოში თავი უნდა მოიყაროს სრულიად საქართველოს ზოგად-ეროვნულმა მისწრაფებამ და მისი ნების ყოფა, მისი გარდაწყვეტილება, ყოველ ქართველის ხელშეუვალ კანონად შეიქნეს.

ამ საბჭოს დიდი შორსამჭვრეტელობა, სიფხიზლე და შეუჩერებელი მუშაობა ჰმართებს, რომ დღევანდელი დიადი ისტორიული წუთი ხელში არ გამოუქრეს, ჩვენის ქვეყნის პოლიტიკური მოწყობის მტკიცე და გაბედული ნაბიჯი გადასდგას—განახორციელოს საქართველოს ეროვნულ - ტერიტორიალური ავტონომია (თვითმართველობა)

უნდა აღდგენილ იქმნას ის უფლება, რომელიც ფეხქვეშ გაქელა რუსთა მეფობამ.

ეს მორიგი საკითხია, უამისოდ ჩვენის ქვეყნის აღორძინება წარმოუდგენელია.

მაგრამ რაა პოლიტიკური უფლება, თუ ხალხი ქონებრივად—ეკონომიურად წელში გამართული არ არის?

მოგეხსენებათ, რაც ძველმა ბიუროკრატიულმა წესწყობილებამ დააკლო ჩვენს ქვეყანას—ის თანამედროვე ომიანობამ დაატეხა: მრავალი ვაჟკაცი წარსტაცა, მეურნეობა - მრეწველობა დასცა, პურისა და ყოველგვარ ბუნებრივი ნაწარმოებით მდიდარ ქვეყანას მეფე სიმშილი ემუქრება.

ამას მოვლა უნდა, რომ სიმშილით არ დავიჟუჟნეთ ანუ ეკონომიურად სხვის მონა-ყმანი არ შევიქმნეთ...

ყოველივე ამასთან უნდა მოვიხსენიოთ ჩვენი ხალხის ყოფაც ხოვრების კულტურული მხარე.

ყველამ იცის ნიკოლოზის მთავრობა რა მუხრუჭებს უჭერდა საზოგადოდ რუსის ხალხს და განსაკუთრებით ქართველ ხალხს.

სოფელი სიბნელეშია ჩაფლული, ანუ უკულმართ სკოლების საშუალებით უკულმართ გზაზე შემდგარი. ასეთ პირობებში მწერლობისა და ხელოვნების აყვავებაზე ლაპარაკიც ხომ არ შეიძლება.

საბჭოს ერთი უპირველესი საზრუნავთაგანი ისიც უნდა იყოს, რომ დაბა-სოფლად პარტიული კინკლაობა-მძულვარება მოისპოს, ხალხის კულტურულად ასამაღლებლად ყველა ცოცხალი ძალები გარშემოიკრიბოს პარტიულ რწმენის განსხვავების მიუხედავად, ერში შეიტანოს ჭეშმარიტი ცოდნა, მოქალაქეობა და სიყვარული.

ამაშია ჩვენი ძალა.

მეორე დიდი მოვლენაა სრულიად საქართველოს კათალიკოს - პატრიარქის არჩევა.

სწორედ ერთის საუკუნის წინად რუსებმა მოსპეს ჩვენი საკათალიკოსო, კათალიკოსი გადააყენეს და მით ჩვენი ეროვნული თვითარსებობის ერთი ძლიერი ძარღვი დაადუნეს, სულიერი საზრდო დაშრიტეს.

დღეს ქართველმა ერმა და სამღვდელოებამ აღადგინა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია და კათალიკოსადაც მრავალწამებული კირიონ მღვდელმთავარი აირჩია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



დაე, თავისუფალმა განახლებულმა ეკლესიამ ერის ნამდვილ საჭიროებას ანგარიში გაუწიოს და აღაყვავოს უცხო სასულიერო ხელისუფალთა ხელით დამხობილი ჩვენი საეკლესიო ხელოვნება, მწერლობა და ეროვნული თვითმართველობა.

ორივე ამ ღირს მოვლენას ვულოცავთ ჩვენს მკითხველთ: აქედან იწყება ჩვენი სამშობლოს ახალი ისტორია!..

გაუმარჯოს ეროვნულ საბჭოს, კურთხეულიმც იყოს ჩვენი კათალიკოს-პატრიარქი!..

## საქართველოს ეროვნულ ინტერპარტიულ საბჭოს



თავმჯდომარე აკაკი ჩხენკელი



მდივანი პ. საყვარელიძე



თავმჯდომარის ამხ. გ. მ. ლასხიშვილი

## კირიონი—კათალიკოს-პატრიარქი სრულიად საქართველოსა

არა ერთს გზის გამოთქმულა აზრი ჩვენს მწერლობაში, რომ საქართველო საზოგადოდ და ეკლესია მისი კერძოდ თანდათანობით გაათახსირა რუსის მთავრობამ, სული შეუწუხა მას, გაცარცვა ეკლესიის სიმდიდრე, მისი ძვირფასი მამულები აქეთ-იქით გაიჩუქა.

ჩვენი ეკლესიების განძეულების პარვა, ცხადლივ თუ მალვით, უკანასკნელ დრომდე არ შეჩერებულა.

სასულიერო სასწავლებლებში ისეთი სულთამხუთავი რეჟიმი დაამყარეს, რომ ახალგაზდობა მთლად სულიერად მახინჯდებოდა. ვისაც კი შერჩა ცოტა რამ უნარი და სულის ძალა, სულთამხუთავმა რეჟიმმა ვინც სრულიად ვერ დაიმონა, იგი გაურიცხა სასულიერო სამსახურიდან; სოფლად მიდიოდა მთლად დამახინჯებული სემინარიელობა; ესენი მოძღვრიდნენ მრევლს, რომელსაც შეაძულეს სარწმუნოება, ეკლესია და თვით სამღვდელოება.

მეცხრამეტე საუკუნეში მთლად გადაგვარდა სარწმუნოების მხრივ ჩვენი სამღვდელოება. თითო-ოროლა ციცინათელა რას იზავდა ამ საშინელს წყვდიადში. დიდ ბუნებოვანი გაბრიელ ეპისკოპოზი დასავლეთ საქართველოში და ღირსმოსაგონარი ალექსანდრე ალმოსავლეთ საქართველოში — აი ეს ორი კაცი, რომელნიც დარაჯად უდგნენ საქართველოს ეკლესიას. დიდებულმა გაბრიელმა თავის ზურგით ზიდა მთელი დასავლეთი საქართველო, ჯორზე მჯდარი დადიოდა სოფლითი-სოფლად, ჰქადა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



გებდა, ასწავლიდა ქრისტეს სარწმუნოებას, უფაქიზებდა და უმტკიცებდა ზნეობას.

როცა კი სამოქალაქო მთავრობა ხელს შეახებდა ქართულს ენას, საზოგადოდ მის წმინდათა წმინდას, ღირსი მამა გაბრიელი მეხად მოევლინებოდა ხოლმე ამ მისი წმიდათა წმიდის შემწიკვლელსა. გავიხსენოთ მისი ბრძოლა მზრუნველ იანოვსკისთან, რომელსაც უნდოდა ქართული ენის გამოდევნა სამეურნეო სკოლებიდან, გავიხსენოთ მისი ცხარე და საბუთიანი წერილი გ. მუხრან-ბატონისადმი, რომელმაც დასწერა წიგნაკი რუსულ ენაზედ და უქადა საქართველოს, როგორც მცირე ერს, ჩაყლაპვა დიდი ერისაგან, უქადა მას სიკვდილი. აი ეს დიდებული კაცი-კი მოატყუეს მეფის მოხელეებმა, მელურად შეიპარნენ გელათის ტაძარში და ფასდაუდებელი ნივთები წაიღეს.

მაგრამ ამ რუსის მოხელეებს ნელ-ნელა გაუჩნდა ჭია-ფილოქსერა. ნაცარ-მიყრილი ნაკვერჩხალი ნელ-ნელა გაღვივდა და ცეცხლად იქცა. სამღვდელოებასაც გაუჩნდნენ ჭირისუფალნი და მოურიდებლად შეებრძოლენ ჩვენი სინიდისის წამწყმედლებს. მწყემს-მთავრებს გაბრიელ და ალექსანდრეს შემდეგ გაჩდნენ სასულიერო ასპარეზზე ეპისკოპოზები კირიონი და ლეონიდე, შემდეგ დავითი და ანტონი.

ამ ჟამად მე სჯა-ბაასი მექმნება კირიონზე, რომელიც აგერ ათს წელიწადზე მეტია, რაც სამშობლოს ჩამოაშორა მწარე ბედმა და ჩვენი ხალხიც დაშორდა მას.

კირიონის ბავშობა-ყმაწვილობამ განვლო მთაში, დიდებულ ანანურის მიდამოებში, სადაც მისი მამა იერონიმე მღვდლობდა. ყმაწვილობაში ამაყმა მთამ განუმტკიცა ახალგაზრდა გიორგის (ერის კაცობის სახელი) ხასიათის შეუდრეკელობა მტერთან ბრძოლაში. მშვენიერმა, ნაზმა მთის ჰაერმა ლმობიერობით შემოსა იგი. ერთის შეხედვით მოღუშული, თითქოს მომდურავი ბედისა და ქვეყნისა, იგია მეტად ლმობიერი, მოყვარული გულისა, მონაწილე და მოზიარე თვისი სამშობლოს ჭირ-ვარამისა, იგია უმაღლესი სიფაქიზით და სიწმინდით შემოსილი პატრიოტი.

ცხოვრებაში გაიოვიდა თუ არა, იმ დღიდანვე შეუდგა საზოგადო მოღვაწეობას. მის ყურადღებას იპყრობდენ ჩვენი წარსულის დიდებულნი ძეგლნი. ჯერ ერისკაცობაშივე მიეის წვლილით და მეცადინეობით გაახლდა ნიქოზის დიდებული ტაძარი, კათედრა ნიქოზელ ეპისკოპოსთა, მისივე ღვაწლით შეკეთდა მეტეხის ტაძარი სოფ. მეტეხს (აი ამ ტაძრიდამ პავლე ეგზარხოსმა მოაპარვინა ფასდაუდებელი მეტეხის ღვთისმშობლის ხატი). ერისკაცობაშივე ჰქონდა შემოვლილი მთელი საქართველო და შესწავლილი მისი სიძველენი. ერისკაცობაშივე შეიძინა დიდძალი საისტორიო მასალა საქართველოს შესახებ და შეადგინა ფასდაუდებელი წიგნთ-საცავი, რომელიც თანდათანობით შეავსო და გაადიდა და ბოლოს რუსეთიდან ეს თვისი წიგნთსაცავი შესწირა ქართულ ეთნოგრაფიულ საზოგადოების მუზეუმსა. ერისკაცობაშივე შეუდგა ლიტერატურულ შრომას და მისი წერილები იბეჭდებოდა გაზეთ „ივერიაში“ ივერიელის ფსევდონიმით.

ბოლოს, გორში, სასულიერო სასწავლებელში სამსახურის დროს, ცოლ-შვილობას მოეკიდა, მაგრამ მალე დაეხოცა ცოლშვილი, მაშინ გადასწყვიტა ბერად შედგომა და მოღვაწეობა, რადგან მაშინ სამკალი ფრიად ბევრი იყო; ხოლო მომკელი ერთობ ნაკლებ. ბერობაში მას შეხვდა შრომა და მოღვაწეობა, ისეთს რეჟიმში, რომელიც არ ეგუებოდა მის ხასიათსა. ამ დროს გაჩნდა მამა ვოსტორგოვი, რომელმაც ხელში დაიჭირა მთელი საექსარხოსო და ტიკინებივით ათამაშებდა ეგსარხოსებსა. ვოსტორგოვმა განიზრახა მისი გაძევება საექსარხოსოდან, რადგან ხედავდა იგი მასში თვისი მისწრაფების მედგარ მოწინააღმდეგეს. მიზანსს მიაღწია კიდეც, იგი 1902 წ. გადაყვანილ იქმნა რუსეთს. ეს იყო, მგონი, მარტის თვეში.

აი რას სწერდა ეპ. კირიონზე „ცნობის ფურცლი“ სურათებიან დამატებაში (დამ. № 34, მარტის 31, 1902 წ.) „ჩვენი ღარიბ ქვეყნისათვის საგრძნობელია ისეთის მხნე და განათლებულ მოღვაწის მოშორება, როგორც ეპისკოპოსი კირიონია. იგი დაუღალავად მუშაობდა თავის სამშობლო ქვეყანაში, უმეტესად უკანასკნელ წლებში, და ბევრს სასარგებლო საქმეს მოაკლდება მისი ყურადღება, მზრუნველობა და პატრონობა...“

დიდად შეაწუხა იმ გარემოებამ ქართველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზოგადოება. ერთი დრო იყო, იქე მოაწყეს საქმე მისმა პატივისმცემლებმა და მეგობრებმა, რომ სტამბოლს უნდა გაეყვანათ, მაგრამ ამაყმა ქართველმა ბერმა იუკადრისა პოზიციიდან გაქცევა და ქრისტეს მაგალითისაებრ სავსე ფიალა ძირამდე დაწრუპა.

დიდხანს აწამეს, სტანჯეს, ჰქენჯნეს ცივს, ნოტიო და ბნელს მონასტრის საკნებში, მაგრამ მისი სულის სიმტკიცე, „მის გული ანდამანტისა“ იოტის ოდენადაც ვერ შესცვალეს მისმა მტარვალებმა, დარჩა „იგივ მხნე, იგივ მღერარი, მოყვარე თავის მიწისა“.

იცოდა რა, რომ ტანჯვაში განმტკიცებული სული მხნეობას მისცემს მას, არად შეამჩნევინებს მტარვალისგან შეიწროებასა, ეპ. კირიონი ტყვეობაშიაც მაინც იბრძოდა, მუშაობდა, სწერდა; ნუგეშად ჰქონდა მას სიტყვანი პოეტისა:

„სოფელი იმად არა ღირს,
კაცი ნატრობდეს ჟამს გრძელსა,
თუ ფუჭი მისი სიცოცხლე
ვერა რას არგებს მამულსა!
მის სადიდებლად ჩვენც შევხვდეთ
უშიშრად ათასს მახვილსა,
და მოვკვდეთ, თუ კი სიკვდილით
ვადიდებთ მისსა სახელსა“...

მთელი თვისი სიცოცხლე, ნივთიერად თუ სულიერად, შესწირა სამშობლოს სამსხვერპლოსა. არ არის არც ერთი ქართული დაწესებულება, რომლისთვისაც კირიონს თვისი სიცოცხლის განმავლობაში, ასე გასინჯეთ, წამების ჟამსაც, არ შეეწიროს თვისი წვლილი ერთჟამიერად და ყოველწლობით: წ. კ. საზოგადოება, ეთნოგრაფიულ, ფილარმონიულ სხვა და სხვას, და სწირავს ისე, რომ მარცხენემან მისმა არ იცის, რას აკეთებს მარჯვენე მისი“.

დიდს ადგილს დაიჭერს ყველა მისი ჩამოთვლა, რაც გააკეთა ყოვლად სამღვდელო კირიონმა, ხოლო მეტად არ მიგვაჩნია უჩვენოთ კიდევ ზოგიერთი ფაქტები მისი მოღვაწეობისა: როცა იგი იყო ინსპექტორად ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების სკოლებისა, მისის მეცადინეობით გაიხსნა ს. აწერისხევის ერთკლასიანი სკოლა (გორის მაზრა, პატარა-ლიახვის ხეობა) და სამი ერთ კლასიანი სკოლა ახალციხის, გორის და თბილისის მაზრებში ორკლასიან სკოლებად გადაკეთდა.

როგორც ძველ სიწმინდეთა და სიძველეთა დამცველი და აღმადგენელი, იგი ერთხმად არჩეულ იქმნა მოსკოვის საარქეოლოგიო საზოგადოებისაგან საზოგადოების კორესპონდენტწევრად. აგრეთვე იქმნა არჩეული იმ კომიტეტის წევრად, რომელსაც დავალებული ჰქონდა სიონის ტაძართან დაარსებულის მუზეუმის პატრონობა. ამისი მეცადინეობით შესდგა თ. ჟორდანიასაგან მუზეუმის ვრცელი, მეცნიერული კატალოგი.

კირიონი არქეოლოგიურსა და სასულიერო ლიტერატურაში ცნობილია ყველასაგან, როგორც ჩვენში ისე უცხოეთში. მის კალამს ეკუთვნის ქართულს და რუსულ ენაზე ბევრი ნაწერები, მაგალითად ისტორიული გამოკვლევა — წმ. ნინო ქართველთა განმანათლებელი, წმ. მეფე მირიანი; ისტორიულ-არქეოლოგიური გამოკვლევა მეტეხის ტაძრის შესახებ; თორმეტი საკუნის ბრძოლა მართმადიდებელ საქართველოისა ისლამთან; ქართულ გალობაზე; დავით მესამე, მეფე საქართველოსი აღმაშენებელი; ამბავი დავით გარეჯის უდაბნოს საკვირველ მოქმედის მადლის ქვის; თეორია სიტყვიერებისა და ისტორია ქართულ ლიტერატურისა; გიორგი მთა-წმინდელი, როგორც სასულიერო პიიტიკოსი, თამარ დიდი და მისი სახელ-წოდება, ებრაელნი ძველს ივერიაში; „დვე სვიატინი ვ კახეტიი, ი პრიდელ ცხეტსკაგო ხრამა“, „ვოსკოვია სვეჩი ვ გრეკო-გრუზინსკოი ცერკვი“, „კულტურნაია როლ ივერიი ვ ისტორიი რუსი“ და სხ.

აქ აღარ ვიტყვით იმას, რამდენს ახალგაზრდას აძლევდა და იქნება კიდევაც აძლევს ნივთიერ შემწეობას სტიპენდიების სახით.

ერთის სიტყვით მას აქვს მიზნად დასახული ყოველივე სამშობლოს, თვისს სატრფო ივერიას, თვის პირადობაზე კი მას თავის დღეში არ უზრუნვია, ადგია შეუდრეკ პრინციპს „შიშველი მოველ ამ სოფლად და შიშველივე გავალ“.

ერისაგანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი თეატრი

## კიდევ სახელმწიფო თეატრზე

სახელმწიფო თეატრზედ უკვე ბევრი ითქვა საზოგადოებაში და პრესაშიაც. საჭიროა მოენახოთ პრაკტიკული გზა საქმის მოსაგვარებლად. ამნაირ პრაქტიკულ გზად მიგვაჩნია შემდეგი: საჭიროა ქართველ მსახიობთა კავშირმა ითავოს და მოიწვიოს ახლო მომავალში საზოგადო კრება, სადაც ჩვენი მსახიობების გარდა დაესწრებიან თათრულ, სომხურ და სხ. დასთა წარმომადგენელებიც. აქ უნდა გაირჩეს საკითხი სახელმწიფო თეატრისა, უნდა მიიღონ მხედველობაში დადგენილება საზოგადო კრებისა, რომელიც გაიმართა ყოფილ სახაზინო თეატრში რევოლიუციის პირველ დღეებში, როცა წყდებოდა თეატრის ბედი და დაადგინეს პრაკტიკულად მის განხორციელებას, ესე იგი იმ გზას, რომელსაც გვიკა ნახებს რევოლიუციის უფლებები, ვინაიდან თამამშოვ-ქვლახოვების კონტრაქტებს უფრო მეტ პატივს სცემენ, ვიდრე ჩვენს სამართლიან და კანონიერ მოთხოვნ ლებებს.

ქართულ დრამატიულ საზოგადოებას კი სულით და გულით ვუსურვებთ განაგრძოს ჩვეულებრივი ტკბილი ძილი და საზოგადო კრებებისთვის დამაზი „რეჩები“ დაემზადებინოს.

## ქართული ოპერა

ჩვენი რედაქციის თაოსნობამ ამ საქმეში უქმად არ ჩაიარა. უკვე შესდგა წინასწარი კრება ქართველ მუსიკოს-მომღერლების, სადაც ერთხმად გადასწყდა: აუცილებლივ შესდგეს ქართული საოპერო დასი. ამისათვის საჭიროდ სცნეს ქართველ საოპერო მომღერალთა კავშირის დაარსება.

მუსიკოს-მომღერლების საერთო კრებამ, რომელიც გაიმართა ხუთშაბათს, ენკენისთვის 14 დაადასტურა ეს დადგენილება და აირჩია საგანგებო კომისია. ეს კომისია შეიმუშავებს კავშირის წესდებას და ორგანიზაციას, გამართავს მოლაპარაკებას ქართულ ფილარმონიულ საზოგადოებასთან და ქართულ კლუბთან საოპერო დასის, გუნდის და რეპერტუარის მოწყობის შესახებ.

ეს ყველაფერი განხორციელება, რასაკვირველია, იმ პირობებში, თუ ჩვენი საზოგადო დაწესებულებანი ამ ნორჩ საზოგადო დაწესებულებას მორალურ და მატერიალურ დახმარებას აღმოუჩენენ, თორემ მარტო კავშირი ვერ შესძლებს ამ რთუ-ლი და ძნელი საქმის მოწყობას.

ჩვენი მომღერალ-მსახიობთა და მუსიკოსთა დადგენილება ფრიად საყურადღებო და სასიხარულოა; მათ დასახულ საქმეს მოელის დიდი მომავალი. დასასრულ ვუსურვებთ მიზნის მისაღწევად გაბედულს მოქმედებას.

რაც შეეხება მათს ორგანიზაციულ მუშაობას, ამას შემდეგ წერილში დაუბრუნდებით.

## ქართული დრამა

დიდი ვაი ვაგლახის შემდეგ ქართულმა კლუბმა დააკმაყოფილა ქართველ მსახიობთა მოთხოვნილებანი. დასიც უკვე შესდგა, დასში იქნებიან საუკეთესო ძალები, რეპერტუარიც უმეტესად ორიგინალურ პიესებიდან არის შემდგარი.

იმედია, ჩვენი საზოგადოება, რომელიც ჩიოდა, კლუბის წარმოდგენები არ გვაკმაყოფილებსო, ახლა თავს ვეღარ გაიმართლებს, ვინაიდან, გიმეორებ, დასის შემადგენლობა და რეპერტუარი არაჩვეულებრივია.

საზამთრო სცენაც შეაკეთეს, ასე რომ ერთი რამ გვაკლია: დავესწროთ ხოლმე ქართულ წარმოდგენებს და ამით ხელი შეუწყოთ დროებით დამჭკნარ ქართულ ხელოვნების აყვავებას.

სვ. წერეთელი

## ცხოვრება.

შავ ფიცარზე კამათელი რაკრაკებს,
ნარდის ქვები გადადის და გადმოდის,
ქვების სვე-ბედს კამათელი განაგებს,
შაშები გსურს, მაგრამ დუ-იაქე მოდის.

* * *

ეს საწუთრო ფიცარია ნარდისა,
კამათელი — ეს ხომ ჩვენი ბედია,
ჩვენ ქვები ვართ, დღეს ცოცხალი ხვალ ვკვდებით
ბედის ჰანგზე დაგვიხრია ქედია.

ღრუბელი

# განწმენდილი

ცრემლი გულს ასპეტაკებს
და სიტყვა სულს.
აღიარე რათა დამშვიდდე.

ქარ-ბუქია. გაათრებული ქარი ჭექა-ქუხილით ასკდება არე მარეს: ჰგლეჯს მიწას, აბორიალებს თოვლს, არყევს ცას. ირგვლივ ჯოჯოხეთური ღრიანცელია. ძრწის მიდამო.

ყველა მყუდრო ბინას შეჰფარებია, მხოლოდ ერთი, ნახევრათ გაშიშვლებული, გაჩქარებით მიაბიჯებს სოფლის ოღრო-ჩოღრო, მიხვეულ-მოხვეულ ქუჩებზედ. თუმცა ქარი უკანასკნელ ძონძებს უწეწ-უფლეთს, თოვლი შიშველზედ სცემს, სიცივე ძვალსა და რბილში უჯდება და ყინვაც კანს უსერავს, მაგრამ იგი ვერ გრძნობს, რადგანაც მის არსებაში, ამ ჟამად, გრძნობა სურვილითაა დაჩრდილული.

ნაუ!.. ნაუ!.. ნაუ!..

ქარის ხმაურობაში ძლივს გაარჩია ეკლესიის ზარის რეკა, რამაც უფროააჩქარებინა ფეხი. პატარა ხანიც და... მივიდა კიდეც. მაგრამ ვერ ჰბედავს შიგ შესვლას—უწმინდურს იქ რა ალაგი აქვს! მუხლებ-მოკვეთილი დაემხო პირქვე და აღმოანთხია გულის სიღრმეში წელიწადებით დაფარული.

— ღმერთო მომხედე მე ცოდვილსა ამას და შემიწყალე მე. ღმერთო განმწმინდე. ღმერთო შემინდე. მე არ ვარ დამნაშავე. ჩემი ბრალი არ არის... გაჭირვებამ მაიძულა... გაჭირვებამ!.. რა მექნა? შვილებს სწავლა სწყუროდათ. ჩამოვიყვანე ქალაქში... ჩემი ქმარი თავის თვიურ ჯამაგირს—შვიდ მანათს—სულ მე მიგზავნიდა... მე კიდე წელზედ ფეხს ვიდგამდი, დღე და ღამეს ვასწორებდი, მაგრამ ამაოდ. შვილები ისევ მშიერ-ტიტვლები მყავნდნენ... მეტი გზა არ იყო.. თავი გავყიდე... ქმარს ვუღალატე, საყვარელ ქმარს!..

ყელში მოწოლილი ბოლმა თვალებიდან ცრემლებად ჩამოემსხვრა, ხელები თავ-პირში წაიშინა და მოჰყვა მწარედ ქვითინს...

რა გოდებით გული მოიჯერა, დამშვიდებით წამოდგა „განწმენდილი" და მიაშურა სახლს,

გ. ხახანაშვილი.

# აქ სად მოხველ?!.

აქ სად მოხველ, ამ ქალაქში... აქ რას ეძებ შენ, ე, ქალო,
რათ, რათ დაძრწი ბნელ ქუჩებში... ვის რათ უხმობ ვნებით მთვრალო?..
ნუ თუ ყველას ერთნაირათ შეჰხარის და შესტრფის გული,
ნუ თუ ყველა შეიყვარე... და ამღერე მათთან სული?...
მაშ რათ იყო წუხელ, ღამით, უხმოთ ეგდე ქუჩის ნაპირს,
თავს გეხვივნენ ვიღაცები და გახევდნენ გულის საპირს?..
მაშ რათ იყო გადათელილს დაგკარგოდა აზრი, გრძნობა,
ქუჩის მტვერში ამოგარგნილს აღარ გქონდა არვის ცნობა?..
მითხარ ქალო, თუ პირველათ აქ საიდან დაიბადე,
ან პირველათ ვინ შეგეხო, ვინ ჩამოგხსნა ეგ პირბადე?..
პირველათ ვინ მოგატყუა, ვინ გაცდინა გველურ ენით,
ვინ წაგართვა სიქალწულე... ვინ აგემა სიტკბო შენით?..
აქ სად მოხველ, ამ ქალაქში... აქ რას ეძებ, შენ, ე, ქალო,
რათ, რათ დაძრწი ბნელ ქუჩებში, ვის რათ უხმობ ვნებით მთვრალო?.,

ქ. არშავირი

დ. ძიძიგური.

ეროვნული ბიბლიოთეკა



კარლო ჩხეიძე
დემოკრატ. თათბირის თავმჯდომარე



ა. ჩხენკელი და კ. ჩხეიძე
დემოკრატიულ თათბირის გამო



ი. ა. ბარათაშვილი
ეროვნებათა წარმომადგენლების თათბირის წევრი.



ალ. ივ. სუმბათაშვილი
35 წ. სასცენო მოღვაწ. გამო.



შალვა დადიანი
მსახიობთა კავშირის თავმჯდომარედ მიწვეული

## თეთრი რაინდი

ტიალ მინდორზე, უდაბნოში სუფევდა ბინდი,—
ჰქროდა ბორიო... ნავარდობდა ბოროტი სული,
ვინ უწყის საით მონაბერი, საით მოსული?
—და სიბნელეში ეგდო ობლად თეთრი რაინდი.

ეგდო დაჭრილი, უშიშარი, ბრძოლისა ველზე.—
ვით დაღალული, ნაომარი მრისხანე ვეფხვი,
რომელსაც თავზე უჩრდილავდა ლამაზი ვერხვი,
—და ჭრელი გველი ეხვეოდა ბროლისა ყელზე.

მხოლოდ ლა ტანჯვა დაშთენოდა მას სამსოფლოდ—
მაგრამ მაინც მტრებს პატივით გადახედავდა,
თუმც მათ მზაკვრობას, მოსისხრობას კარგად ჰხედავდა...
—და ის რაინდი იყო ჩემი ტურფა სამშობლო...

ს. ერთაწმინდელი

ეროვნული ბიბლიოთეკა





## მანუილ სიმონის ძე კიკნაველიძე

სპარსეთს გადასული სამრეწველოდ, იდეური მუშაკი. ვერაგულად მოკლულ იქმნა სპარსეთში მაზანდარანის რაიონში, სოფელ გურჯიმალაში 1916 წ. მკათათვის 9. გადმოსვენებულ იქმნა სამშობლო სოფელ კიკნაველეთში (ქუთ. მაზ.) წლის თავზე 1917 მკათათვის 9 და იმავე თვის 23 დაიკრძალა.

## ადრე მზე-დაბნელებული

გაგონილი ამბავი

(მანუილ სიმონის ძის კიკნაველიძის ხსოვნას)
ძღვნად სპარსეთში გადახვეწილ ქართველებს

ტანით ლერწამის მოცილე,
სახით მზეს ედარებოდა.
თვალი-წამწამით და ღიმილით
ვარსკვლავთა ექიშპებოდა,
გულით კლდე, რწმენით ფოლადი
შიშის ღმერთს ეჯიბრებოდა,—
ქალი მის ერთხელ მჭვრეტელი
გულაფრენილი ბნდებოდა.
სახელი მისი მანუილ,—
ამოსულიყო სვეტადა,
ორგულთა თავზარდამცემი,
ერთგულთა იყო ბედადა,
ჩაგრულებისა მალამო,
მჩაგვრელებისა ელდადა,
ძმობის და ერთობისათვის
მოძღვრებდა სოფელ-ველადა!..
შავი დრო იყო მისი დრო:
მეფობდა სისხლის მწოველი,—
მეფე ნიკოლოზ მეორე,
ყოველ კეთილის მშთობელი;
სიბნელის ხელის შემწყობი,
სინათლის დამაქრობელი,—
ვინ მოსთვლის, მისის ბრძანებით
რამდენს მიერგო დღე ბნელი!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

დევნა დაუწყეს მანუილს,
არ ზოგდენ დასახვრეტადა,
ვაჟკაცმა თავი შერდო
მტარვალთა გასაწყვეტადა;
სთქვა, თუ რაღად ვარ მე კაცი,
რად დავალ სოფელ-ქვეყნადა,
თუ ბოროტების მეუფეს
თავს მივცემ ალალ ბედადა“.
ადგა და სპარსეთს გაიჭრა
ბედისა საძებნელადა,—
რას არგებს კაცსა, ერთ ადგილს
შინ იჯდეს დედაბერადა,
რას გვარგებს ქედის მოდრეკა,
სხვა რომ თავს გვადგეს მტერადა?—
უჯობს არ იყოს ვაჟკაცი,
ვიდრე სხვის სახლის მხვეტადა!
მიმოვლო სპარსთა მიწანი,
სთქვა: მადანია აქაო.
იხილა ქართველ სპარსელნი,
ეს ძველი დროის ლხქაო.
საიდან საით მოგზიდეს,
თავს გადაგხდიათ ჯაფაო,—
ძმანო, აწ ვიცნათ ურთიერთი,
ეს არის ჩვენი სარფაო!
სთქვა და შეუდგა საქმესა:
მოძღვრებდა ქართველობასა,
თვის ტომთა ასამაღლებლად
შეუდგა მრეწველობასა.
ხმალი და თოფი მუდამო
არ მოგვცემს კეთილ წყობასა,
თუ შრომა-სასწორ-გუთანიც
არ გვიწევს წინამძღვრობასა!
მანუილ გურჯის სახელი
გაითქვა შორით-შორადა;
სპარსეთის რაინდ ხანები
რაცხდენ თვის თანასწორადა,
ჩაგრულ-დევნილნი მამადა,
მუდამ გულდამწველ ტოლადა,—
ბედს ანანებდა მანუილ
მტერსა—გამოსულსა ბრძოლადა!
ძილი გაუფრთხათ ურცხო ტომთ,
სპარსთა ქონებით მცხოვრებთა,
სთქვეს, თუ არ მოკვდა მანუილ,
მზეს დაუბნელებს ჩვენს დღეთა.
მოიმხრეს ავაზაკები,
მავალნი მუდამ კლდე-ღრეთა,
მუხანათობით მოკლეს და
გმირი მოსწყვიტეს მშობელთა!

ველარ იხილა ვაჟკაცმა
მტარვალთ მეფობის დამხობა,
ველარ იხილა თვის ქვეყნის
თავისუფლება, ლაღობა,
გულგანგმირულმა ესლა სთქვა:
ეგებ წამიღოთ შინაო,
მაღირსოთ ჩემი სამშობლო,
მამა-პაპათა ბინაო.
ძაძით შეიმკო, ვისაც-კი
ესმინა გურჯის სახელი,
მხოლოდ წლისთავზე შეიქმნა
მშობელი მისი მნახველი.
სამშობლო მიწამ მიიღო
ნაადრევადა მზე-ბნელი,
ყვავილობს მისი ნათესი,
არ ქრება მისი სანთელი!..

ი. წ—ი

# კიდევ ერთხელ დაგვწიხლეს

ახალი რუსეთის ნაწილი თავის წინაპართა არა ჩქდალატობს და სისტემატიურად განაგრძობს უცხო ერების დაწიხვლას.

რუსეთის საეკლესიო კრება და სამინისტრო ძალიან აღუშფოთებია ქართველების მიერ ნაექსარხოსალის შენობის დაჭერას. ეს არც გასაკვირველია, ვინაიდან დიდებული შოთას სიტყვები სავსებით შეეფერება რუსეთს: „კარგი რამ გეწირდეს გიკვირდეს, ავი რა საკვირველიაო.“

დიახ, გაგვიკვირდებოდა ეს, რომ რუსეთმა კარგი რამ მოიმოქმედოს მის მიერ დაჩაგრულ ერებისთვის, თუნდაც დღევანდელ მათ კრიტიკულ მდგომარეობის დროს. რუსები ისეთი ფსიხოლოგიის ხალხია: მოყვარეში მტერს ეძებენ და მტერში მოყვარეს და სცდილობენ შექმნან ხელოვნურად ერთიცა და მეორეც.

ძველი რუსეთი მოკლებული იყო სწორ ლოღიკურ აზროვნებას, ახალ რუსეთშიაც მკრთალად მოსჩანს გონება-მახვილიანობა და ეს არის უმთავრესი მიზეზი რუსეთის დღევანდელი კრიზისა.

რა მოხდა ისეთი, რამ აღაშფოთა რუსეთის სამინისტრო და საეკლესიო კრება, რა ჩაიდინეს

ქართველებმა საამისო?—სრულიად არაფერი; ქართველებმა დაიბრუნეს უკან უკანონოდ წართმეული ქონება. ამან აღაშფოთა ხსენებული საბჭო და სამინისტრო, რომელნიც იქამდისაც კი მივიდნენ, რომ აგაზაკად გამოიყვანეს ქართველთ მღვდელ-მთავარი, რომელიც უსამართლოდ იტაცებს თურმე სხვის ქონებას.

სჯობს ზემოხსენებული ერილობა და სამინისტრო გადაავლებდეს თვალს ისტორიის ფურცლებს საქართველოს და რუსეთის დამოკიდებულების შესახებ და იქ გაიგებენ, თუ ვინ ვის რა მოსტაცა. მაგრამ განა მათ ეს არ იციან? — ძალიან კარგადაც იციან, მხოლოდ საქმე აქ ტაცობაზე როდია; ეს მარტოოდენ ზედაპირია საჩივლისა. აქ ჩვენ საქმე გვაქვს ეროვნულ უფლებების გათელვასთან და ეს ხდება სწორედ იმ დროს, როდესაც რუსეთს მტერი კარზე ჰყავს მომდგარი და ასი ათასობით ქართველი ხალხი სისხლს ჰღვრის რუსეთის საკეთილდღეოდ.

რა იქნება მაშინ, როდესაც ქართველთა ფიზიკური ძალა ასე აღარ იქნება საჭირო მათთვის?- ეს ყველა გონიერი კაცისთვის, ვისაც აზროვნების უნარი არ დაჰკარგვია, ნათლად წარმოსადგენია.

ეგები ეხლა მაინც შეიგნონ ზოგიერთმა ურწმუნოებმა, რომ რუსთი ჩვენ არას დროს არ შეგვმოსავს სრული ჩვენი უფლებით, თუ ჩვენ თვითონ არ დავიცავთ ჩვენი უფლება.

ვარლამ ჩლაიძე



ევგენი დვალი

ვინ მოსთვლის რუსეთმა ჩვენი ქვეყნის რამდენი შვილი აწამა, რამდენს გაუმწარა სიცოცხლე.

ერთი ასეთი სიცოცხლე-გამწარებულთაგანია მუშა მწერალი ევგენი დვალი, რომელიც თითქმის ათი წელიწადი აწოწიალეს ციხე-ციმბირ-კატორგაში და ბოლოს სამი წელიწადი საგიჟეთში ჰყავდათ ჩამწყვდეული.

რევოლიუციის ბრწყინვალე სხივებმა იხსნეს იგი საგიჟეთის მუდმივ ტყვეობისაგან.

ძველი მუშა, დემოკრატიის გამარჯვების მტკიცე მორწმუნე, თვით უსაზარლეს ტანჯვა-წამებაშიც რწმენით არ შეიცვალა და მუდამ სამშობლო ქვეყნის ამაღლებასა და დემოკრატიის გამარჯვებას შესტრფოდა და შესტრფის.

სატანჯველიდან განთავისუფლებულმა ისევ ბეჯითად განაგრძო ათის წლის წინად ძველის მთავრობის ჯალათებისაგან შეწყვეტილი სამწერლო მუშაობა.

ამ ერთს თვეში გამოსცა საკუთარი ლექსების შვიდი წიგნაკი: „საგიჟეთში დაწერილი სიმღერები, საქართველო, მწარე სიმღერები, გამარჯვება, ქალი, რაჭველი, ილია და აკაკი“.

ყველა ამ წიგნაკში მოთავსებულ ლექსებში განაწამები ავტორი უმღერის სამშობლო ქვეყანას, მუშა ხალხს, საერთაშორისო ძმობას, ჰგმობს ყოველგვარ უკეთურებასა და მკითხველს უკეთილშობილეს გრძნობებს უღვიძებს.

ეს ლექსები. დიდად, რომ ღირსია ყურადღებისა, როგორც აზროვანი და გულწრფელი ნაწარმოებნი.

იოსებ არიმათიელი

# შარადა

ვინაც პირველად იგემა,
ტკბილი ყურძენის წვენია,
მთელი იმისი სახელი
შარადის დამამშვენია.
და შემდეგ ქორონიკონით
დასვით ოთხმოცდა ათია,
თუ იცით, არ დაგჭირდებათ
ბევრი სჯა და კამათია.
მდინარე არის, უწინ კი,
ყოფილა ქალაქ-დაბაო,
გურია სამეგრელოსკენ
მიბძანდით, ნახეთ, აბაო.
სამ მარცვლისაგან შესდგება,
პირველსა თუ მითავაზებთ,
ძვირფასი გვარის შარადას
ცოტათი შევალამაზებთ.

და შემდეგ უცხო ქვეყნისა
სახელწოდება გვქირია, —
დაფიქრდით, მისი მიხვედრა
არც ისე გასაკვირია:
პატარა სამთავრო არის,
ცხოვრობს სხვის უწყინარადა,
მიხსენეთ მისი სახელი
და გათავდება შარადა.

ვარდენ ყიფიანი

## ქართული მუსიკა

საქართველო უქართველებოდ, ქართველები არა ქართულის მისწრაფებით,—ეს ხომ ჩვენი სამშობლოს მტერთა მიზანია.

და ესეთი მიზანი ჰქონდა ნიკოლოზის მთავრობას.

ბევრი ჩვენი საზოგადო-საკულტურო დაწესებულება სახელით თუ იყო ქართული, თორემ სულით, შინაარსით, მიმართულებით ნამდვილი გადაგვარებული.

ჩვენი „ქართული კლუბი“ უმთავრესად უცხო ხელოვნების ძიძა იყო და არის, უცხო მუსიკის გამავრცელებელი, უცხო ლოტბარ-მსახიობთა მასაზრდოებელი, მაშინ, როდესაც ჩვენი მუსიკოს ხელოვანნი წითწ ოდ ლაჰქრიან, ანუ სამშობლოსგან შეუწყნარებელნი უნუგეშოდ ლევენ დღეთა თვისთა.

ასევე ჩვენი ეგრედწოდებული ქართული ფილარმონიული საზოგადოება რომლის კედელთა შორის ყოველივეს მოისმენ გარდა ქართულისა.

ზოგიერთ მის მოღვაწეს ისიც-კი ვერ წარმოუდგენია, რომ ევროპიულ ცნობილ მუსიკოსთა ოპერების თარგმნა და სცენაზე დადგმა ქართულ ოპერის შექმნა-დადგმას არ ნიშნავს.

ასეთ ნათარგმნ (უკეთ რომ ვსთქვათ, (ნაჯიჯგნ) ოპერათა დამდგმელნი ყოყლოჩინობენ კიდეც—ქართულ ოპერის ნიადაგი არა აქვსო...

ცოდვაა ქართველი ხალხის გემოვნების ასე ცალყბად მოხსენება.

ქართველ ხალხს უყვარს სიმღერა-ცეკვა-როკვა, მაგრამ „თვისი, ეროვნული,“ და არა სხვისი, ისიც—გადმომახინჯებული.

ჩვენი ხალხი ეროვნულ მუსიკის მოღვაწეთა ნაშრომი ამისი ცხადი დამამტკიცებელია.

მაშინ, როდესაც მუსიკის კერძო თაოსან-ლოტბართა სახალხო კონცერტები დაუსრულებელ ოვაციებს იწვევენ მსმენელებში და ხალხს სულიერ-ესთეტიურად ასაზრდოებენ, ჩვენი ოფიციალი დაწესებულება „ქართული ფილარმონიული“ საზოგადოება კაკლის ნაჭუჭში მომწყვდეული და ფართე საზოგადოებამ მისი „წამ-ღწევისა“ სულ არაფერი იცისრა და თუ იცის რამე—ყოველწლივ თითო საოჯახო დილა-საღამო, რომელზედაც თითქმის ყოველთვის ერთი და იგივე ნომრები, ერთი და იმავე ამოჩემებული ავტორების ნაწარმოები იდგმება.

ვერ იქნა, ამ „ქართულმა ფილარმონიულმა“ საზოგადოებამ დღემდე ვერ შემოიკრიბა ქართველი კომპოზიტორ-მუსიკოსნი; ვერ იქმნა და დღემდე ერთი ქართული სრული ოპერა ვერ უჩვენა საზოგადოებას (მხედველობაში მისაღები არ არის ამ საზოგადოების სკოლის ხელმძღვანელის ოპ. «აბესალომ და ეთერი»), თუმცა ქართველმა კომპოზიტორებმა ამ ათიოდე წელიწადში ბევრი თუ არა, თითო-ოროლა ოპერა მაინც დაწერეს.

ვერ იქმნა და ქართულმა ფილარმონიულმა საზოგადოებამ დღემდე ქართულ მუსიკოს-მომღერალთა ოჯახი ვერ შექმნა, ქართველ მუსიკოსთ და მუსიკის მოყვარულთ საერთო მიზანი ვერ დაუსახა. პირიქით, ისეთი პირობები შექმნა, რომ ქართველი კომპოზიტორნი ამ საზოგადოებას დღის სავალზე გაურბოდნენ და გაურბიან. ხოლო თვით ეს „ქართული საზოგადოება“ ქართველ კომპოზიტორთა ყოფნა-არყოფნას თითქმის არც კი აჩნევს.

კომპოზიტორთა მიმართ ასეთმა უყურადღებობამ მეტად ცუდი ნაყოფი გამოიღო: ბევრ ნიჭიერ კომპოზიტორს მარჯვენა დაუდუნა, გული გაუცია და დაწყებული ნაწარმოებნიც კი ვერ დაასრულებინა.

საქმე იქამდეა მისული, რომ ამ „ქართულ“ ფილარმონიულ სკოლაში სწავლება და ახსნა რუსულად სწარმოებს; ქართული ხალხურ-ეროვნული სიმღერა თითქმის უყურადღებოდაა დატოვებული და ამ საზოგადოებამ ისიც კი ვერ მოახერხა, ქართველ მომღერალთა გუნდი შეექმნა, მაშინ, როდესაც ჩვენი ხალხი მუსიკის მხრით ნიჭიერია და ამ საქმეს კერძო პირნი ძლიერ ადვილად ახერხებენ.

მოგახსენებენ ამ „ქართულ“ ფილარმონიულ საზოგადოებას სათავეში მუსიკალურად

ეროვნული ბიბლიოთეკა

განათლებული კაცი უდგას, ყოველივე იცის, მაგრამ რას იზავთ—ერთი კაცი ათად ხომ ვერ გაიჭრება: რავდენსამე დაწესებულებაში ჩაბმული და საქმეს ვერ აუდისო...

რაც და ვინც უნდა იყოს მიზეზი, ჩვენი მუსიკის საქმე მეტად სავალალო მდგომარეობაშია და დროით უნდა მიშველება.

დღეს, როდესაც ჩვენის ცხოვრების ყოველს ასპარეზზე ეროვნული მიმდინარეობა იმარჯვებს, სკოლის, ეკლესიის, მართვა-გამგეობის თუ სხ. ნაციონალიზაცია ხდება, საჭიროა ესევე მოხდეს ჩვენს მუსიკაშიაც და „ქართულ“ ფილარმონიულ საზოგადოებაში ნამდვილი ქართული სული გაბატონდეს.

მუსიკა ხალხის აღორძინების ერთი უმთავრესი დარგთაგანია და იგი რაც უფრო ადრე დაადგება ეროვნულ გზას, ჩვენი სწავლული მუსიკოსი რაც უფრო ადრე დაუახლოვდება ხალხს, მისგან შექმნილით თვით ისარგებლებს, ხოლო თვისგან შემქნილს ამ ხალხს აზიარებს,—ვიმეორებ რაც უფრო დროით მოხდება ყოველივე ეს—მით უფრო უკეთესი იქმნება ჩვენი წინმსვლელობისათვის.

ექიმი შტოკმანი.




ქართულ კლუბში ხუთშაბათს, ენკენისთვის 7, ქართ. დასმა წარმოადგინა „უპატიოსნონი არ იბადებიან“ (ნათარგ. პიესა 3 მოქ.) მთავარ როლს ასრულებდა ი. ზარდალიშვილი. ეს მსახიობი უკვე კარგი ხანია მოღვაწეობს ქართულ სცენაზე და საპატიო სახელი მოიხვეჭა. ლამაზი დიქცია, მშვენივრად თავის დაჭერა სცენაზედ, რაც ჩვენმა ზოგიერთ მსახიობმა ვერაფრის გზით ვერ შეითვისეს, აი მისი თვისებანი.

ცოტა რამ აკლია ზარდალიშვილს: ეგ ტემპერამენტი. თუ შეივსებს ნაკლს, მაშინ დასრულებული მსახიობი იქნება. ა. ქიქოძე ახალგაზრდა მსახიობია და თავის ნიჭიერ თამაშით საზოგადოების ყურადღებას იქცევს.

სხვა მსახიობნი ანსამბლს ხელს უწყობდნენ.

დიდათ სასურველია, რომ ორიგინალური პიესები იდგმებოდეს. თუ საზაფხულო სცენა არ იყო შესაფერისი, საზამთრო ხომ უფრო ფართეა.

მარიეტა შაგინიანი, რუსულ-ევროპიულად განათლებული ქალია, ტომით სომეხი. მისმა ლექციამ სომეხთა რევოლიუციონერ-მწერლის ნალბანდიანის შესახებ 1829—1865 წ. სამუსიკო სკოლაში დიდძალი საზოგადოება მიიზიდა. ამ ნიჭიერმა მწერალმა ქალმა ლექტორობის დიდი უნარი და ნიჭი გამოიჩინა: აღებულ საგნის ღრმა ცოდნა, მეტყველი, მკაფიო და სადა გამოთქმა: არც ერთი წინადადება ბუნდოვანი, არც ერთი სიტყვა გაუგებელი, ასეთია იგი.

მსმენელთ გააცნო ნალბანდიანის უმაწვილობის ხანა და ის წრე, რომელშიაც იგი ტრიალებდა, დამოკიდებულება ბაკუნინთან და სხვ. სარევოლიუციო მუშაობა და მისი საკუთარი თხზულება—სოციალისტური ტრაქტატი, 1862 წ. გამოცემული, და მოძღვრება. ნალბანდიანი, როგორც სოციალისტ-რევოლიუციონერი, მიწის სოციალიზაციას ადიარებდა. თუმცა ყველა ხალხნი ძმანი ვართ, მაგრამ სომხეთის ხალხმა თვისი ხვედრი თვის სამშობლოში უნდა ეძიოსო.

ლექციის დას სრულ საზოგადოების თხოვნით ორი ლექსი წარმოსთქვა, საზოგადოებამ ლექტორი ქალი ცოცხალი ყვავილების კალათით და ხანგრძლივი ტაშით დააჯილდოვა.

მისი ლექციები საყურადღებოა სასურველია მათი მოსმენა.

ახალი პიესა სომეხთა მწიგნობარ ჭაიკ ტერ-ასტვაცატურიანის „დავით-ბეკი“, რომელიც ენკენისთვის 12 თბილისის საკრებულოში წარმოადგინეს, საყურადღებოა პიესაში გამოყვანილი ქართველები, ქართველი მეფე, დიდებულნი და პირველი მოქმედებაც მცხეთაში სწარმოებს მარიანის ნადიმზე, სადაც სტუმრად არიან სომეხნი დავით-ბეკი და სხვ. საქართველო დამოუკიდებელია, თავისუფალი, სომხეთი კი ყიზილბაშთა მონა. სომეხ-ქართველნი ძმანი არიან, ურთიერთის ჭირს იზიარებენ. იგონებენ დავით აღმაშენებელს და აღთქმას სდებენ ძმურად იცხოვრონ. ქართველთა მეფეს გული უკვდება, რომ სომხეთი დამონებულია, რჩეული ვაჟკაცთ მიაშველებს და ურჩევს სამშობლო გაანთავისუფლონ, უპირველეს ყოვლისა სამშობლო შეიყვარონ.

შემდეგი მოქმედებები სწარმოებს სომხეთში ბრძოლაა დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად.

პიესა თანადროულია, ლამაზად დაწერილი და შინაარსიანი. სასურველია გადმოითარგმნოს.

დადგმის მხრით—მხატვრული მხარე მოისუს-

ტებდა, არც როლები იცოდნენ კარგად. დამსწრე საზოგადოებამ მონაწილენი ტაშით დააჯილდოვა და ავტორიც გამოიხმო.

ი—ი

ს. მცხეთის სცენის მოყვარეთა ჯგუფმა მარიობისთვის 20 მცხეთის კომისარის პ. მანჯგალაძის მეთაურობით დასდგა ორი პიესა: „გლახა ჭრიაშვილი" და „ჯერ დაიხოცნენ მერე იქორწინეს" რ. ერისთავისა. ხალხს ძლიერ მოეწონა როგორც პიესების შინაარსი, აგრეთვე მოთამაშეთა მიერ როლების შესრულება, მეტადრე ზოგიერთებმა ძლიერ ასიამოვნეს მაყურებელნი.

სასურველია ხშირად იდგმებოდეს ხოლმე წარმოდგენები. აღმასრულებელნი საკმარისად მოიპოვებიან მცხეთაში, ხალხი დიდის ხალისით ესწრება წარმოდგენებს და საჭიროა შინაარსიანი პიესები იდგმებოდეს.

დამსწრე

## ომში დაღუპულნი ქმანი



პორ. კალენიკე ნიკოლოზის ძე ქურციკიძე დაიჭრა ავსტრიის ფრონტზე 1917 წ. ივლისის 6, გარდაიცვალა აგვისტოს 5.

ჯარის კაცი ვალერიან ნიკ. ქურციკიძე მოკლულ იქმნა ოსმალეთის საზღვარზე ქურთების დაცემის დროს 1916 წ. მაისის 27.

## წვრილი ამბები

ახალი პიესა დასწერა სვიმონ წერეთელმა, სახელად „მეორედ მოსვლა" კომ. 2 მოქმ. სადღეისო ცხოვრებიდან. პიესა ეძღვნის ვასო აბაშიძეს მისი ორმოცი წლის სასცენო მოღვაწეობის გამო. პიესა ტოცხლად არის დაწერილი.

პირველი საღამო „ჟურნ. თეატრი და ცხოვრების" რედაქციის სასარგებლოდ გაიმართება ახლო მომავალში ქართულ კლუბის დარბაზში.

ახალგაზდა მომღერალი ქალი თამარა გვათუა ქართული კლუბის რუსულ ოპერაშია მოწვეული. პირველად გამოვიდა ენკენისთვის 19 „რიგოლეტოში". მომღერალს საზოგადოება თანაგრძნობით შეხვდა. დაწვრილებით შემდეგ.

ტრაპიზონში დაარსდა ქართული დრამატიული საზოგადოება მირიან ჯაშის თავმჯდომარეობით. საზოგადოებასთან შესდგა სცენის მოყვარეთა წრე, რომელიც ამ მოკლე ხანში დაიწყებს წარმოდგენების გამართვას. წრემ ბათომიდან მოიწვია პელაგია შარაშენიძე.

სახალხო თეატრის სეზონი დაიწყო ენკენისთვის 17, წარმოადგინეს „მაღაროს უფროსი მუშა", თარგ. ნ. გოცირიძისა და „რაც გინახავს ვეღარ ნახავ" ა. ცაგარლისა.

ქართულ კლუბში ენკენისთვის 14 დაიწყო რუსულ ოპერის სეზონი. დაიდგა „პიკოვაია დამა" ხალხი ბლომად დაესწრო. მეორე წარმოდგენაზე კი თეატრი ნახევრად ცარიელი იყო.

ქართული წარმოდგენების შესახებ ჩვენი მსახიობთა მოთხოვნილებანი კლუბის მიერ დაკმაყოფილებულ იქმნა. დასი უკვე სდგება საუკეთესო ძალებისაგან. სეზონი მალე დაიწყება.

ქართ. დრამ. მსახიობთა კავშირმა კ. ანდრონიკაშვილის მაგიერ კავშირის თავმჯდომარედ აირჩია ცნობილი რეჟისორი და დრამატურგი შალვა დადიანი.

სახემწიფო თეატრში ოპერის სეზონი დაიწყო. დასი საუკეთესო ძალებისაგან შეხვდება. ხალხი ბლომად ეტანება,

რუსული დრამის „ტარტოს ამხანაგობის დასის უმრავლესობა ძველი ძალებისაგან შესდგება. სეზონი დაიწყო.

ქართული ოპერა ენკენისთვის 14 ქართ. კლუბში შესდგა. კრებამ დაადასტურა დადგენილებანი წინასწარი კრებისა და ერთხმად აირჩია კომისია კ. ფოცხვერაშვილი (კომპოზიტორი), ა. ყარაშვილი (კომპოზიტორი) ლორთქიფანიძე (მომღერალი,] პ. მირიანაშვილი (მწიგნობარი), კ. ანდრონიკაშვილი (რეჟისორი), იოს. იმედაშვილი (რედ. „თ. და ცხოვ.) და სვ. წერეთელი , ჟურნალისტი".ამ კომისიას დაევალა: მოელაპარაკოს ქართულ კლუბს, რომ მან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ქართულ მუსიკას და გადადგას პრაქტიკული ნაბიჯი ქართულ ოპერის მოსაწყობად და უკვე გადადებული თანხა მოხმარდეს დანიშნულებისამებრ, მოელაპარაკოს ქართ. ფილარმ. საზოგადოებას ამ მიზნებზე და შეიმუშაოს წესდება და ორგანიზაცია კავშირისა.

კომისია ვარდ. ლორთქიფანიძის თავმჯდომარეობით და სვ. წერეთლის მდივნობით უკვე შეუდგა მუშაობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა



**რწმენა, იმედი და სიყვარული**


# ქართული კლუბი

**1 კვირ ს პროგრამმა**

**კვირა**—საღამო წარმოდგენა.
**ორშაბათი**—ოპერეტა. მუსიკა
**სამშაბათი**—საოჯახო საღამო
**ოთხშაბ.**—სინემოტოგრაფ. სიმებ. ორკ.
**ხუთშაბ.**—ქართ. წარმოდგენა. მუსიკა
**პარასკ.**—ოპერეტა.
**შაბ.**—საოჯახო საღამო
**კვირა**—რუსული წარმოდგენა.



## „თეატრი და ცხოვრება“

წლის ბოლომდე ღირს 5 მან. ხელის მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაში—ბაზრის ქ. № 20, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, სახ. არჯევანიძისა.
**საფოსტო** მისამართი: **თბილისი,** რედ. „თეატ. და ცხოვრება“— **იოსებ იმედაშვილს.**

რედაქტორ-გამომცემელი **იოსებ იმედაშვილი**